


# კ ვ ა ლ ი



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი ზაზაეთი. ზამოღის ჟოველ კვირა დღეს.

№ 9.

თიბაგვალი 20, 1894 წ.

№ 9.

ზინარსი: დედოფალი მგოსანი ა. თ. - წ.სა. - ფუჭი და შენიშვნა დ. ხ. - საყურადღებო ამავე კიწავას. - ექვინს, ლექსი. ი. ივანა შეილისა. - მოგზაურობა შვეიცარიაში საზღვარ გარეულისა. \* - თ. რაზაგა შეილისა. - უწყრა ლექსი საჯაოხ. - წინადა მგფა არილი. გ. წერეთლისა. - ზევი ქვეყნის რაინდი ე. ნინო შეილისა. - ისტორია ზონის სარწყავი არხისა, ი. ნ. წერეთლისა. - ყუბო ვახუცაძეა.

## დედოფალი მგოსანი (რეზინის კაროლის კარ- ლოსის მეუღლე)

რა ერთხელ  
შეხვედრია  
მკითხველს  
ქართულ ენაზე წა-  
კითხვა კარმენ-სილიის  
ზოგიერთ თხზულებ-  
ბისა. ამ სახელით  
სწერს რუმინის დე-  
დოფალი ელისაბედი.  
მისი უმეტესული ზღაპ-  
რები ისეთ პოეტურათ  
არის დაწერილი და  
ისე ღრმა აზრებით  
არის საესე, რომ სა-  
ნატრელია მათი გად-  
მოთარგმნა.

თვით დედოფალი  
ელისაბედი არის ასუ-  
ლი ეილის მთაერისა,  
რომელთა ოჯახი გა-  
თქმული იყო მეც-  
ნიერების, ლიტერა-  
ტურის და ხელოვნე-  
ბის სიყვარულით. დე-



დოფალი ელისაბედის  
ბებია ლექსებს სწერ-  
და, მისი ბებუის ძმებ-  
თაგანი ერთი გამოვი-  
და გამოჩენილი მხატ-  
ვარი და მეორე ბუნე-  
ბის მეცნიერი. თითონ  
დედოფლის მამა ფი-  
ლოსოფურ სტატი-  
ებს სწერდა, ხოლო  
დედა მისი იშვიათი  
ნასწავლი ქალი იყო.

ელისაბედის (კარ-  
მენ - სილვას) ბებია  
ხშირად უქვეფობდა  
და შეიღობიკ სუსტი  
აგეტულებისა ჰყავდა;  
ამისგანო ის დაბინა-  
ვდა სოფლად და, აი,  
იქ, წმინდა ჰაერზე,  
ბუნების წიაღში, იზ-  
რდებოდა დედოფა-  
ლი მგოსანი იგი  
პატარაობის დროს  
ხშირად ძმებთან ერთად  
მინდორში მკი-  
და პურს, თესავდა  
კართოფლს და ხან-

და-ხან ძროხასაც წველიდა, მაგრამ ასეთი ცხოვრება არ უშლიდა მას სწავლას და საფუძვლიანად განვითარდა ლათინურსა და ბერძნულში. დედოფალი ელისაბედის პოეტური ნიჭი უფრო გასწავლდა და გზა გაიგნო დიდ მწუხარებას შემდეგ, როდესაც მას მოუყვდა თავისი ერთადერთი შვილი. საბრალო დედა ცხარე ცრემლებს აფრქვედა პოეტური ლექსებით.

მისი ზოარები და ლექსები ცალკე გამოიცა კარმენ-სილვას სახელით და არა თუ გერმანიაში და რუმინიაში მთელ ევროპაში განთქმულია პოეტური გამოხატულებით და სინამდვილით და კაცთ-მოყვარეობით.

დედოფალს თავადლებით უყვარს რუმინიელები და ერთ დროს შემოიღო კიდევ რუმინიელების სოფლის ქალების ტანსამოსი, მაგრამ ამის წინაღმდეგ ბერნი აღმოჩნდნენ დედოფლის კარზე.

ამ წელს დედოფალს ელისაბედს შეუტარებდა ორმოცდა-ათი წელიწადი. იგი ახლა ცხოვრებს მყუდროდ განმარტოებული სოფელში. ლიტერატურამ და პოეზიამ მთლად გაიტყა იგი. ის ამჟამად სწერს წიგნს „სულის ვითარებისას“, რომელშიც აპირებს გამოხატოს მხიარულებით და მწუხარებით საესე საკუთარი ცხოვრება.

აწ. თ. — წ. — ლისა

თეიქრი და შენიშვნა

IV



ელას რაც აგონდებოდა, ის ეზმანებოდა<sup>ა</sup>—ო, ნათქვამია. ჩვენც, რაც გეგონდება ამ ჟამად, იმაზე უნდა ეილაპარაკოთ: „ეგვირის“ № 30-ში მოათესებელია ბან მეფეებს მეთაური წერილი, რომლიდანაც ეტყობილობთ, რომ ჩვენი დიდი ხნის ნატურა საქმედ ქცეულა. ჩვენ პატივცემულ მწერალს ეკ. გაბაშვილისას მიუღია თავის თავზე სალიტერატურო ფონდის საზოგადოების წესდების შედგენა და „ამ დღეებში იგი ჰუიქრობს მიიწვიოს სეთვად-აზნაურო ბანკის სადგომში საზოგადოება, რომელსაც წარედგინება განსახილველად პროექტი ამ საგნის შესახებ. შემდეგ თვით ამ კრებისაგან იქმნება დამოკიდებული საფუძვლიანად გააჩიროს აღნიშნული პროექტი, შესცვალოს და დაუმატოს, თუ რასმე საკუროდ დინაპავს და სს“... ამბობს ბანი მეფელე. კეთილი და პატიოსანი! როგორც ვიცით, ხალხს თანდათან უთღიერდება მწერლობის და მწერალთა სიყვარული. არა ერთხელ დამატკია მან, რომ მშათ არის შეძლებისა და გვარად გაუთქვამბესოს ბედი ჩვენთა შეუქლებელთა მწერალთა. საკურო იყო მზოლოდ საქმის მოთავე, რომელიც წაუძღვებოდა წინ უმარეიდესობას და განახორციელებდა საერთო სურვილს. სალიტერატურო ფონდის მოწყობა უყისრია ჩვენ საყვარელს, მხენსა და დაუღალავს, საზოგადო საქმისთვის თავდადებულს, მწერალსა და მუშავს ეკ. გაბაშვილისას და ყოველს შეგნებულს ქართველს ის-და დაშთენია, ხელი შეუწუვოს პატივცემულ მოღვაწეს და დაავიკრივიზინოს მისგან წყებული საქმე. ყოველი ეჭვი და შიში, პესისიმისტობა და სკეპტიციზმი აქ უაღფლოა, რადგან სარ-

გებლობას ვერ მოუტანს საქმეს და ენებას კი მისცემს. „აი, ბატონო, თვითონ ვაზიში სწერია, რომ ჩვენში არაფერი გაკეთებულა და არც აწი გაკეთდება“; იტყვის ზოგიერთი მკითხველი, როცა ბან მეფეებს წერისას წაიკითავს და ხეწე, რადგან საქმეს. ამისთანა კაცისთვის მკირე საბუთიც საკმაოა, რომ უმისოდაც პურაქიერი კიდევ უფრო გაპურაქიერდეს!.. საკვირეელია, თვითონ ბანი მეფეე ამბობს თავის წერილში: „დღეს ჩვენ ყოველ მხრივ გვემის, რომ დროა საზოგადოებამ მიაკციოს ღირსეული ყურადღება ქართულ ახლად ეგზადმულ მწერლობას, დაუნებროს შეუძლებელთა მწერალთა და მისცეს საშუალება მთელი თავისი ნიჭი და ღონე ლატერატურას მოახმარონ. ეს აზრი გვემის საზოგადოებაში და ამ გვარისავე ხასიათის ბარათები მოკედის რედაქციაში“ო და მაინც უმატებს „მაგრამ“... და თავისევე ხელით ანგრევეს, რაც ააშენა. „მაგრამ როდესაც რომელსამე საზოგადო საქმეზე ჩამოაგრდება ლაპარაკი, რომელსაც არავითარი კენძო ხასიათი არა აქვს და მთლად თავისი აზრით და მნიშვნელობით საზოგადო საკუთრებაა, ჩვენ ყოველთვის იმისი ეჭვი და შიში გვებადება: „ევი თუ ამ კეთილ საქმეშიც უკეთური მოდა, დას-დასობა და ინტრიგები გამოეროოს და არიოს მონასტერი... პესისიმისტობად ნუ ჩამოვეერთმევა და უნდა აღვიართო, რომ ამ უკანასკნელ ათს წელიწადში არ დაბადებულა ისეთი საზოგადო საქმე, არ გაჩენილა ისეთი საერთო სასარგებლო საგანი, რომელსაც არ დაწყოლოდეს უკეთურობა და შურტი. ჩვენ არ ვთვლით საკუროდ აქ დავასაბუთოთ ეს აზრი, რადგანაც იმედი გვაქვს, ამის წინააღმდეგის თქმა ერთობ საქმელო იქნება და დამტკიცებანი ჩვენის სიტყვების ყველას თვალწინ აქვსო“; ამბობს ბანი მეფელე. ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ვერ გადაწყვიტეთ, რაზე

ლაპარაკობს აქ ბ-ნი მეეღვ. თუ ჩვენი ბანკები აქვს სახეში და მათზე დამოკიდებული სააზნაურო სკოლები; ეგენი ხომ ამ ათის წლის წინათ არიან დაარსებულნი და არც ეკუთვნიან იმისთანა საზოგადო საქმეთ, „რომელთაც არაერთი ცერძო სასიათი არა აქვსთ“?.. ჩვენი აზრით სალიტერატურო ფონდი იმისთანა დაწესებულებაა, რომ აქ წარმოუდგენელია „უცუთური მოდა, დას-დასომა და ინტრიგები“. ჩვენ ვერ მიხვდარართ, რაში უნდა გამოიხატოს ამ საქმეში ან ერთი, ან მეორე, ან მესამე? ყველას შე-

გნებული აქვს მწერლობის უდიდესი მნიშვნელობა. ყველა? იცის აგრეთვე, რომ თუ გინდა, რომ ჩვენში მწერლობა მტკაც საუქმეველზე დამყარდეს, უნდა უზრუნველი ყოფი ისინი, ვინც მას ემსახურებიან. ეს შეუძლია სალიტერატურო ფონდს და ყველა თანაუგრძობს მას, როგორც თვით ბ-ნი მეეღვლე აღიარებს. აქ არც შეიძლება ვისმე შეშურდეს, თუ შეუძლებელ მწერალს გაპირების დროს ხელს გაუმართავს ვინმე!..

დ. ბ.

### საეურნადღებო ამაზავი

**გ**ოველ ქალაქს ეტყობა ამ ჩვენ დროში ცოტად, თუ ბევრად განახლება, წინ-მსვლელობა და ცდილობს, რამოდენათაც შეძლება აქვს, სხვა ქალაქებს უკან არ ჩამორჩეს; მაგრამ ქ. ოზურგეთს კი არა ეტყობა რა ერთი უაღრესი წარმატების ნიშანი ამ შემთხვევაში, არის სამკითხველოების და საწიგნებოს დაარსება. ახლა ბევრია ასეთი სოფელი, რომ თავისი სამკითხველო აქვს. მაგრამ აჯერ რამდენი ხანია არსებობს ქალ. ოზურგეთი და არც ერთი სამკითხველო არა აქვს, არც ერთი წიგნთ-საკაცი; იქ მცხოვრებლებს რომ სურვილი არ ჰქონდესთ, ამას ვერ იტყვის კაცი, ის კი არა სულით და გულით მოწოდებული არიან ვაშართან წიგნთ-საკაცი და სამკითხველო, მაგრამ არაეინ არის ისეთი ვინმე, რომელსაც შეეძლოს საქმის თაობა, თორემ ხარჯს არ დაზოგვენ ჭკუა-გონების განვითარებისთვის. ამ მხრით გვერდს ვერ აუქცეოთ ბ-ნ თავართქილაძის მოღვაწეობას, რომელსაც ეს რამდენიმე ხანია დაუარსებია ქ. ოზურგეთში წიგნის მაღაზია, წიგნებს აერცვლებს ხალხში და ახლა სამკითხველოც გაუხსნია. თუმცა ბ. თავართქილაძის წმინდა ეპარქიული განზრახვა აქვს, მაგრამ ამასაც თავისებური სარგებლობა შეუძლია მოუტანოს; მაგრამ მის სამკითხველოს ჯერ ცოტა წიგნები აქვს. თუ რომ არაეინ გამოჩნდა სახალხო სამკითხველოს დაარსების მოთავე, მაშინ კარგს იხამდა საზოგადოება დახმარებოდა ამ სამკითხველოს გაერცვლებას და წიგნებით შევსებას.

მისწრაფის ნორჩი ახალგაზღობა ჭკუა-გონების განვითარებისათვის. რამდენი ხანია ეს სასწავლებელი არსებობს და ჯერ ბიბლიოთეკა არა აქვს. არ მოიპოვება არც ერთი წიგნი, რომ მოწაფემ წაეკითხოს სწავლას გარეშე. ეს გარემოება მკითხველიც დამეთანხმება ძლიერ სამწუხაროა და საკვირველი. რე თუ ჩვენი სამედიცინოება ვერე ღარიბი არის?!—არა. სიღარიბეს აქ აღვილი არა აქვს. მაშ რა არის მიზეზი? აქაც ერთი და იგივე მიზეზია, რომ კაცი არ არის ეს საქმე ითავოს. მოთავეთ თვითონ სასწავლებლის ზედამხედველი უნდა ვახდეს. სამწუხაროა, რომ ბ-ნი ზედამხედველი, ნ. გ. ტ-ვი ამ საქმეს აქამდის უყურადღებოდ სტოვებს. ყველა დამეთანხმება, რომ ბიბლიოთეკა უძვირფასესი ნივთია სასწავლებლისათვის და მოწაფეების ჭკუა-გონების განვითარებლად. ვინაიდან ეს სასწავლებელი აქამდის მოკლებულია ამ უძვირფასესს ნივთს, მოწაფენი რამოდენიმე ნაბოჯით უკან დვანან სხვა სასწავლებლებს მოწაფეებზე. სწორეთ ეს არის მიზეზი, რომ ამ სასწავლებლის მოწაფეებს არ გაეცვათ წიგნების კითხვის მნიშვნელობა. როგორც სხვა სასწავლებელიდან, ამ სასწავლებელიდანაც გავზავნიან რამდენსამე მოწაფეს საშუალო სასწავლებელში, მაგრამ აქ ეს ახალი შემოსული მოწაფეები გაკეთილების სწავლის მეტს არას აკეთებენ, რადგანაც არ იციან, რა მნიშვნელობა აქვს წიგნის კითხვას, არ არიან მათ კითხვას მიჩვეულნი. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო ზოგიერთი ვერ განაგრძობს აქ სწავლას, ისინი ხომ სულ წყალ-წალბეულნი რჩებიან ცხოვრებაში. ასეთ ნაკლებელებების თვიდან ასაცილებლად დროა თვით ოზურგეთის სალედლოებამ გამოიღოს ხელი, რომ თავის სასულიერო სასწავლებელთან სამოწაფო ბიბლიოთეკა დაარსოს.

არ შეგიძლია, არ მოვიხსენოთ მეორე ფრიალ სამწუხარო ამაზავი. მთელ ოზურგეთის მაზრაში ერთადერთი ოთხ-კლასიანი სასწავლებელია, საითკენაც

კაწავა

### ეჭვიანს




ოცა მტრებსა ჰყვებარ ხელში  
შეპურობილი, შეჯაჭვული  
და სრულებით საიმედოს

არას გეუბნება გული,  
მაშინ შენ იქ ცბიერებით  
ყველას აქებ, ყველას ამკობ,  
და გოლითად მეგობრებსა  
მიწას უთხრი და ძირს ამხობ;  
ხოლო როცა სახლში ზიხარ,  
მტერი შენზე არას ფიქრობს,  
მაშინც ეჭვი გულს გიღაღრავს:  
მტერ-მოყვარემ არ გიფიწვოს!  
სული-კრული არ გისვენებს,

წყვეა-ქოლოვით იხსენებ მას,  
ინიც ან გუნდრუქს აღარ გიკმევს,  
ან არ გითელის შეგვენებას.  
როცა ვარდი ხელთ გიპყრია,  
გათრობს მისი სუნუნელება;  
იმავე დროს წამოგივლის  
სნებასავით მჭმუნვარება.  
და გინდა, რომ იმავე წუთას  
ეს სოფელი, ის ქვეყანა  
დაჰლუპო და შეაჩვენო,  
ხელთ აილო მჭრელი დანა,  
ამისათვის რომ გაკლდება  
გასაკიცი, გასაკილი.  
შეჯაჭვნა მაცხოვარმა...  
აქაც ეჭვი?.. კიდევ ეჭვი?...

ი. ივანეშვილი



### მოგზაურობა შვეიცარიაში

#### II

#### საოფელში



ხლა მიფიქვლივადეთ თეთიონ ხალხს და გავიგოთ მისი ცხოვრება.

შვეიცარიაში წოდებრივი წყობილება კი არ არის. აქ არც აზნაურია, არც თავადი. ამათვის დიდი ხანა ჩამოუღოთმეციათ განსაკუთრებითი უფლებები და უზბრალო მოქალაქეთ გაუხდიათ. ამ ნეტარხსენებულ დროს ერთად-ერთი კოშკი (château) მოგაგონებს. ეს ძველი დროის ნაშთი ამართულა სადმე უსაფაგო-ალავას, მთაში, ან წყლის პირას და სოფლიდან კარგა დაშორებულია. კოშკს გვემა ისევე ძველი შერჩენია, მხოლოდ შიგნით და სახურავი გადაკეთებულ-განახლებულია ევროპულ თანამედროვე გემოვნებით. გარეგანის მშებელულობით ეტყობა, რომ იქ უნდა ცხოვრებდეს ენამე ძლიერი ამა სოფლისა. მართლაც აქ არის რომელიმე ძველი ყოველად-შემძლებელის მარკიზის, ან ბარონის შთამომავლობა, მაგრამ დახე ბედის წერას! გუშინდელი მარკიზი დღეს გლეხია; იმას არავითარი უადრესობა არ აქვს, მისი ყოველივე უფლება-უპირატესობა ისტორიის ტალიებს ჩაუწითქავს. თუ დღეს ის თითო საჩვენებელია იმიტომ, რომ სიმდიდრე შერჩენია, ესეც არა ყველას, არამედ უმცირესობას. დიდი უმრავლესობა ბრწყინვალე წოდებისა და ხორცადებულა: ზოგი სრულიად გაღარიბებული და უბრალო სოფელიდან არ განიჩივება, ზოგს ეპყრობა

დაუწყია და ბურჭულად გამხდარა. ერთ სოფელში ერთ ღარიბ გლეხის შესახებ მითხრეს, რომ ის ეილაღ ბარონის შთამომავალი არისო.

ამ გვარად სოფელში გარდა გლეხისა ევრაიის ნახეთ. საქმის დღეს ყველა სამუშაოდ არის გასურული: ზოგი შორს, ზოგი ახლოს, ვისაც კი მოძრაობა შეუძლია, თავის საქმე აქვს აწენილი და იმას აყუთებს. სოფელი მხოლოდ საღამოს გაცოცხლდება, როცა მუშა-გლეხები სამუშაოდან დაბრუნდებიან. ამ დროს უნდა ქუჩაში იყიოთ და მომავალ ხალხს უტყვიროთ: რა და რა ნაირ მუშას არ ნახავ! ყველა სამუშაო ტანისამოსით არის გამოწყობილი: ფეხზე აცვია მოკლე ყელიანი ჩექმები; ეს ფეხ-საკმელი ისე გაკეთებულია, რომ 2—3 წელიწადს არ დაცდებია, ძირი ძალიან სქელი აქვს და ზედ ფართო თაფიანი პატარა ლურსმებია დაკრული, მიწას ეს ლურსმები ეღებ და არა ტყაეი. ამასთანავე იაფე და მსუბუქია. შარვალი უბრალო საქონლის და გურუცეთელი, სიკხეში ნაბრტო პერანგს და ქილტუებს ატარებენ. პერანგი თეთრი და საყვით-სახელო გაცხახმალეულია; ეს საკვანხალო ნაწილები წმინდა საქონლისაა, დანარჩენი ტანი კი მსხვილი ძაფით მოქსოვილი ტილოა და ძალიან ჰგავს იმას, რასაც ჩვენში წინად „ხამს“ უწოდებდენ; გარჩევა იმაშია, რომ „ხამი“ ოჯახში იქსოვებოდა; ეს აქაური საპერანგე კი ფაბრიკის ნაწარმოებია. ქილტუკა სახელოებანია და ზედ ჰკივია საათი ძქუკით. უსაათო გლეხს ვერც კი ნახეთ. ის საათობით დგება, საათობით მუშაობს, სადილობს და სხ. აქაური გლეხი ისე მიჩვევია საათს, რომ მზის მოძრაობის საშუალებით დროს გავება სრულებით არ შეუძლია. თითქმის ყველას ერთნაირ

რი საათი აქვს: თუჯის, ან თითბრის, მაგრამ შეუჩერებელი მუშა. აქ ეს ღირს არა უმეტესს 10—12 ფრანკსა. აედარნი ქილქს ზეითი ზღუზა აცეია (ზაუხულოში) და ხელოში ქოლვა უჭირავს. თავზე წმინდა ჭაღის ქუდი ახურავს. ქოლვა ძალიან სიციხეშია და აქეთ. ხშირად შეხედებით გოდორ-მომოდულ კაცს, რომელსაც ქოლვა გაუშლია და მხის სხეებიდან კისერს იფარავს. ბოსტანში ქალები ქოლვას ქვეშ მუშაობენ. ამ გეაიი საბოსტრო ქოლვა ძალიან ფართო და გრძელ ღეროზედ არის გამოგებული, სადაც სურთ მმუშაობა. იქ დაასობენ და გაშლილ ქოლვას ქვეშ თავის საქმეს აკეთებენ. მუშათა შორის ადვილათ შეამჩნევთ იმისთანას, რომელიც სიბერის გამო ოთხათ არის მოკეცილია და იმისთანასაც, რომელიც სიყმაწვილის გამო, მუხლებსაც ვერ იმაგრებს. აქ დედა-კაცო ისეთივე შრომის უღელშია გაბმული, როგორცაა მამა-კაცი. ხშირად მინახავს მოხუცი ქალი კართობითი სავსე გოდორ მოკიდებულთ, ორი ჯახით ძლივს მიადგამა ფეხებს.

— ღმერთი არ სწამთ, მაკას რომ ამუშავენენ?

კეთებ ერთ გლეხს.

— განა ჩვენ არ ვიცით, რომ მაგის მუშაობა საცოდაობაა, მაგრამ რა ჰქნას: თავს რჩენა უნდა. მისი ვაყიშვილი ისეთი ამპარტავანია, რომ კომუნედან არაფერ დაშარების მიღებას არ ეადრეობს, ისე კი უჭირს ცხოვრება, წერილი შეილის პატრონია.

გლეხობა საზოგადოდ კარგი შეხედულობის არის, მოსრული, აზოვანი ტანის, სხვილ-სხვილი მავები, ჩინებული ფერ-ზოცი, ვაკეითლებულ სახისსა ვერკი ნახათ, თეთრ-ყირომიზი, თვალები პატარა-პატარა და ჭრელ-კაკლიანი, წვერი მოპარსულია აქეთ და თბა შემოკრეჭილი. დაღის დანჯად და თახალუ-წულად კაცს ჰგანია, მუდამ ღრმა ფიქრებშია გარეულიყო, ეტყობა გულადობა და სიმამაცე, მუშაობს ძლიერ ნელა, აუჭარბებლოვ, მაგრამ მთელ დღეს გაწვევებულთ. დედაკაცობა უფრო დაბლი ავებულობის არის, პატარა პირით და ხელებით, ლოყა მოწითლო აქეთ, ცვირი მოკლე; მზიარულ-მამოკინარე სახეს მოკლებულია, ჯან-მთელი და მარჯვეა.

კვირა-უქმე დღეს რომ ნახათ ეს მუშა-ბაღობი, სიუღებით ვერ იცნობთ ისე გამოწყობილ-გამოკობებულთა, რომ იფიქრებთ ეს გლეხობა კი არა ქალაქის ბურჯუა არისო. ფეხებზე მოღის წაღები აცეია, ტანზე მუღის, ან მინაგვარის შარვალი და სერითუკი (ან პიჯაკი), პერანკი არისტოკრატიული წინადა საქოლარის, რასაკვირველია, გაკა მალბეული, თქმე ცლინდის და ხელოში ჯოხი (აედარნი ქოლვა) — ერთი სიტყვით ინგლისის ჯენტლმენს ჰგავს. ქალებიც მოღის ტანსაცმელშია გამოწყობილი. არ

შეიძლება ქალმა ხელოვნურად გაილამაზოს პირისახე, წყლით და საპნით დაიბანს და ეს არის. (უნდა შეენიშნოთ, რომ ქალაქის ქალებიც ამ წესს მისდევენ). ერთმანერის ზრდილათ და მოწყობებით ვაყრობიან, ლაპარაკში ხმარობენ „ტყევე“ და არა „შენ“: გლეხს რომ უთხრა „შენ“, შეურაცხყოფათ მიიღებს. „შენს“ს გაიგონებ ცალ-ქართათ და ბავშვებთა შორის, ბავშვებს ფეხ-ტარტეულ და მიფლეთილ-მაფლეთილ ტანისამოსით ვერსად ვერ შეხედლებთ. ყველა „პოლსაბოკე-ბითი“ და რიგიანი ბლუზა-შარვალით დაღის. ბავშვები ცქციტი და ზრდილია, თუმცა ულამაზო სახისაა.

ასეთია საფელი და მისი მცხოვრებლები გარეგანის შეხედულობით. მიუახლოვდით კიდევ უფრო, შევიდით გლეხის სახლში.

სიმდიდრე-სიღარიბის მხრით გლეხობა შეიძლება გაიყოს სამ რაგად. პირველი წარმოადგენს ვარდ-წოდებულ გლეხის ბურჯუას. ეს გვარაან შეძლებულათ ითვლება. მის ცხოვრების წყაროს შეიძლება შეადგენდეს ხერხის მამონა, საღურგლო, ტყე, ან ენლი, მიწა ბლომად, ათი-თორმეტი ძროხა და ან სოფელში დუქანი. ყველა ეს ცალ-ცალკე აღებული იმდენ შემოსავალს იძლევა, რომ მისი პატრონი პირველი რიგის მქონეულად ჩაითვლება. მესამე რიგის არიან ის გლეხები, რომელნიც ყოველივე საკუთრებას მოკლებულნი არიან, არ აქეთ საკუთარი თავ-შესაფარი და სხვის, ნაქირავემ სახლში ცხოვრებენ, არ აქეთ საკუთარი მიწა-ადგილი და სხვის მიწაზე მუშაობენ. ამათ ისე უჭირთ ცხოვრება, რომ კომუნა აძლევს შემწევობას: სამუშაოს შოვნით, ფულით, შეიღების გაზრდით, ტანისამოსით და სხ., ანე რომ ამით ესენიც იმალად იტანენ ვაკეირებას. დანარჩენი გლეხობა მეორე რიგისაში მოკვება. ესენი შუათანა შეძლებისაა. ამათ საკუთარი სახლი და მიწა ცოტა აქეთ. ესენი შეადგენენ საუფლის დიდ უმრავლესობას. გლეხი — ბურჯუა და გლეხი — ბოგანა ძლიერ ცოტაა. მაგალითად, ს. ბრენტში, სადაც 45 მოსახლეა, 3—4 შეძლებული გლეხი ცხოვრებს და იმდენივე უსახლ-კარო. ამ უკანასკნელს ჩაცმა-დახურვით, რასაკვირველია, ვერ შეატყობთ სიღატაკეს. საზოგადოდ შეეცარიელი ცდილობს თავისი ნაკლებეაუნება მიიზღოს და საზოგადოებაში რიგიანად გამოვიდეს. ამ მხრით შეეცარიელი ძალიან ჰგავს გურულს. პირველის და შუათანა შეძლების გლეხი დიდათ არ განიორივეა შინაურ მორთვა-მოწყობილობაში. მხოლოდ პირველს უყვითონ სასმელ-საჭმელი აქვს, ვინც მეორეს. არც მუშაობის მხრით არის ამათ შორის გარჩევა. ორივე გაბმულია მუშაობის უღელში (გარდა ვაჭრისა). რასაკვირველია, პირველის შრომა

უფრო ნაკოფიერია, რადგანაც სამუშაო იარაღები კარგი აქვს. ერთ ჩემ ნაცნობს ხეჩხის მამიანა ჰქონდა და მუდამ თითონ მუშაობდა ზედ. ერთხელ ეკითხე:—თუ 15—20 ფრანკი შემოგდით დღეში, რატომ თქვენ მუშაობთ, იქირავეთ ვინმე და ის იქნება თქვენ მაგიერ.

— პირველად ამას მკოდნე კაცადუნდა, ყველა ვერ გააკეთებს ამ გვარ საქმეს, ამისთანა მუშაკი დღეში 5—6 ფრანკს მომთხოვს, მეორედ, ვთქვათ, სხვა დაეჭირე, შე რაღა უნდა გაეკეთო? მუქთად ეიჯდე? ეს ხომ სიციფე იქნება!—მიპასუხა მან.

აი, ამ შეკლების გლეხი დილიდან საღამომდე ხერხზე მუშაობს, მისი ვაჟი ყანაშია, მისი ცოლი პირუტყვს მწყესავს საბალახოზე და რძეს ეიღის. ოჯახის არც ერთი წევრი მუქთად არ ზის, ყველას თავთავის საქმე აქვს. შრომა— და გარჯა—ეს ყველასთვის ხელ-მუხუბებელი მცნებაა.

საზღვარ-გარეთელი

(შუადგომი იქნება)

\* \* \*

არ გზარავს, ბავშო, შენ ვე ბორკილი?  
მე კი მაძრწუნებს მის ხმაურობა,  
შენ კი ბავში ხარ, ვით კრავი მგელსა,  
ეთამაშები, გიყვარს ხუმრობა.

—

აბა, ასწიე, მძიშეა ვანა,  
სატარებელი ვაჭირებთია;  
ცივია, ცივი, ვით სამარას ქვა,  
ვერეინ გაათბობს მწუხარებთია.

—

ჯერ პაწაწა ხარ, ბორკილიც გწუნობს,  
ძირსა ვარდება, არ გდგება ზედა;  
მერე ვიამბობ მაგის ამბებსა,  
შეგებარება ვულში რა სედა.

—

ზრდილანში მკლავი გავიმაგრდება,  
ქვეყნისა გმინვას თან შეგზრდები;  
ალარც ბორკილი ჩამოგვარდება,  
კარგად მოგიყვ. შეუყვარდები.

—

ნუ გეჩქარება, ქვეყნის მჩაგვერდსა  
მალე იგემებ ბორკილის ძალსა,  
და მის შემმუსტერეს, ყრმობა ოცნებით  
გამოიხატავ ტბილს იდეალსა!

1894 წ.

თ. რაზვიაშვილი

უწიგბა \*)

**მ** უილ-ხულით ჩამარბის  
რიონი გაქანებული,  
ხმაურობაზე შეამჩნევ,  
ვერ არის ვახარებული.

აღობად არ მოსწონს ქვეყნისა  
უშნოთ, უმგევანოთ ტრიალი;  
ამაზე გაჯავრებულსა  
გააქვს ხმა-მალლა ღრიალი.

საამურია თვალთათვის  
გალმა-გამოღმა სერები,  
მათზე ურიცხვი ნაძებნი  
და მათი მწვეტი წვერები.

↓ გულსა მოაღებენს მარწყულუსა  
აქ მიმოვლება თვალისა  
სიკვილი მიხრეულს სიციხლეს  
კვლავ დაუბრუნებს ხალისსა!

ბუნება ხარობს, ნარნარობს,  
კეკლუტობს ამწვანებულსა,  
მთები კი სდუმენ, არ ვიცო,  
რაზედა დანაღლებულსა.

უთუოდ წარსულს და აწმკოს  
ერთს მეორესთან აღარებს  
და ერთ-ერთისა სიმუხთლე  
აღონებს, აღარ ახარებს....

აქვე გადმოჰქუხს უმუხუნა  
წყლები მკავე და მკურნალი;

\*) უწიგბა სოფლის სახელია რაჭაში, სადაც სამეურნალო მუშავე წლებია.

სადაცა მიეშურება  
სასმელად ხალხი მწყურვალნი.

რომ ბედის უკუღმა ბრუნვით  
მათ გული დაწყულულებული  
ამ წყლითა განიკურნონ  
დაბრუნდენ გამოვლებული.

აქ არებარე ნახია,  
თვალთათვის უცხო სანახი,  
წყლები კი, კვირცხლი, ანკარა,  
და შიგ ურიცხვი კალმახი.

არა, რას ეამბობ! ლეთის ღდის  
წილად ხდომილი ქვეყანა  
ყოვლად შემკული რად არის,  
გასაკირია ეს განა?

ასეა ქართველთ სამშობლო,  
ყოველი კუთხე-სოფელი,  
ღეთის ღდისაა, ის იყოს  
მისი კეთილის მყოფელი.

რ. სადაბენი

15 კარიკოზსთვე  
1892 წელს.

### წმინდა მამა არჩილი

(668—718\*) წლებს შორის ქ. მ. ვახუშტის ქრონიკა-  
ლოგით)

**ღ**ემდის საქართველოს ისტორიას ნამდვილი ისტორიკოსი არ გამოჩენია და ჯერ არც შესაძლებელია, რომ ეინმე გამოჩნდეს. იქნება არც ერთს ერს დედამიწის ზურგზე, რომელსაც ჩვენ დრომდე ცოცხლად მოუტანებია, არ ჰქონდეს მეტი მიღწეობა საისტორიო მასალა, რაც ქართველებს შეუნახავთ. ამის მიზეზი, შეიძლება, საკვირველი მიღებარეობაც იყო მისი ქვეყნისა, საცა მიუდგომელს მათსეანეებს დაუფარავს აქამომდე ერი, მისი ზვიპირ ვადმოცემები და მისი წერილობითი ნაშთებიცა, აგრეთვე მის სამშობლო მიწაში ჩამარხული კვალი მისის უხსოვრის დროიდან ისტორიულის ცხოვრებისა. ამ საუკუნის მეორე მოცე წლებში თითქოს განგებით მოვლენია ამ ერს

ერთი საკვირველი მკვლევარი მარი ბროსეს, რომელიც, მიმხედარა საქართველოს ისტორიული ნაშთების მნიშვნელობას მსოფლიო ისტორიისათვის და თავი შეეწირავს იმის გულისთვის, რომ ქართული ისტორიული მასალებით გაბმული ქსელები წარსულსა და აწმყაში არ შეწყვეტილიყო. მას თავის კვლევით დაუმავრებია ეს წლები და ხელი დაუფარებია ძვირფას სამეცნიერო წყაროსთვის, რომ შეუგუნებლის კულტურის განუკითხავს ზვირთის ახალის დროისას არ წაეღვეკა და არ აღმოაფხვრა ეს შემავრთებელი კვალი ვადაცელილსა და ცოცხალს კაცობრიობას შორის. მ. ბროსემ საქმალა მიაქცევინა ყურადღება ევროპის განათლებას ამ საკვირველის ერის ძვირფას ისტორიულს საუნჯეზე და წაჰკრა ცხოველ-მყოფელი ქისტი ქართველს განება-განვითარებულს თაობას, რომ შემდეგ თვითონ იგი-როგორც ნამდვილი მემკვიდრე თავის მამა-პაპათა საუნჯისა, შესდგამოდა ქართული ისტორიის წყაროთა კვლევას და შუქის მიფენას.

მ. ბროსეს შემდეგ დიმი. ბაქრაძემ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ცალკე წერილობითი ისტორიული ფაქტების გამოძიებას (კომენტარიას), მათ შეესებას, ახალის ნაშთების აღმოჩენას და ისტორიულ მასალის სიპრავლემ ისე დაამძიმა მისი გონება, დატვირთა მისი კვლევა, რომ ველარ შესძლო გზის გაკვალვა და თვით კომენტარიების სიპრავლემში დაიბნა. მართალი უნდა ვთქვათ, ასეთს საქმეს ვერც კერძო კაცის ძალ-ღონე და ვერც მთელის რამდენისამე თაობისა ვერ დასძლევს. დიმი. ბაქრაძეს დარჩენ მემკვიდრენი ალ. ცაგარელი, ეფ. თაყაიშვილი, თ. ჟორდანიას და სხვ. ესენი განაგრძობენ მარი ბროსეს და დიმი. ბაქრაძის შრომას; მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან შორის არის, შორის ის ბრწყინვალე მომავალი, როცა ასეთი გამოძიება და მასალების კვლევა დასრულდება, როცა წყლის ნაკლულსაით განუწყვეტლად მიმდინარეს საქართველოს ისტორიულს ცხოვრებას საქმალა ნათელი მიუფინება, და მსოფლიო მეცნიერება შეითვისებს, და ადგენს თავის საპროლოიანს განაჩენს.

როდესაც დაწერილებით თვალ-ყურს ვადვენებთ და შევისწავლით მ. ბროსეს, დიმი. ბაქრაძის და მათ მიმდევართა კვლევას, ცხადად ერწმუნდებით, რომ მათ გამოკვლევას ერთი ხელ-სამძღვანელო პრინციპი, დედა-აზრი, სისტემა აკლავია.

ისინი იბნევიან და ირევიან თავისევე გამოკვლევაში. ჩვენის აზრით ეს იქიდან წარმოსდგება, რომ არც ერთს მათგანს ზედმიწევნით არა აქვს შესწავლული საქართველოს მატანიე, ეს დედა წყარო, საქართველოს ისტორიისა. ყოველი მათგანი ჰკრებს,

\* მსოფლიო ისტორიის გამოკვლევით მერკან-ყრუს შემოსევა მოხდა 730 წელს ქრ. შემდეგ. ხოლო წინადა არხილის მეფობა კიდევ უფრო გვიან იყო. აქედან ცხადთ გრწმუნდებით, რომ ვახუშტის ქრონიკოლოგიაში დიდი შეცდომებია და არც არის იგი საწმენიო.

იკლევს ძველსა და ახალს ისტორიულს მასალებს კერძოდ, ცალ-ცალკე, ხოლო საერთო ისტორიული ქსელი მათიანეს საფუძვლიანი ცოდნით მომკილო, არა აქვს მათ გამოკლევას გატარებული. ამისკმა მთელს მათს მრავალნაირს კომენტარებს შემუშავებულობის კვალი ატყვია, მოკლებულია ისტორიულს სინტეზსა. აქედან წარმოსდგება ერთი დღე ნაკლები განება ქართულ ახალგაზდა მესტორიეთა ნაწარმოებისა. ისინი აღებენ რომელსამე ხანას საქართველოს ისტორიისას, მოყავთ ყველა მასალა, რაც კი აქამდის აღმოჩენილა ამ საგნის შესახებ, სდებენ თავის მსჯავრს მთელს ისტორიულ ხანას, განმარტებენ მასში მომქმედის გმირის ენაობას, მის ღირსებას და მათ მნიშვნელობას; მაგრამ რადგანაც მათ ხელთ არა აქვთ სისტემატურათ განხილული და საქმაოდ ისტორიულად დაფასებულნი, აწონ-დაწონილი ფაქტებ, ამისთვის მათ მიერ შემუშავებული ისტორიული ხანა ჰკარავს მეცნიერულს ღირსებას, იგი გამოდის მკვლევარის ფანტაზიის ნაყოფი და სინათლის მაგიერად კიდევ უფრო ბინდში ეხვევა ჩვენი ისტორიული წარსული. აი, ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენ ვიკისრეთ, ჩვენის ქართულის მათიანეს დაწერილებით შესწავლით გამოვარკვეით ერთი საზოგადო ისტორიული სინტეზი (საზოგადო განხილვის აზრი) და ამის მიხედვით დაეფასათ თითოეული ხანა ჩვენის ისტორიისა და მასში მომქმედი პირების ღვაწლი იმდენათ, რამდენათაც იგი იქნება დაფუძნებული ახსნილსა და გამოცნობილს ისტორიულს ფაქტებზე. ჩვენ გვინდა ამით გავუადვილოთ შრომა იმ ჩვენს მკვლევარებს და კომენტატორებს, რომელთაც უკუაზე ახლოს მოუვით ეს ჩვენი სინტეტური პრინციპი კვლევისა; ხოლო რომელნიც უარს ჰყოფენ ამ ჩვენს მოსაზრებას, ისინი, იმედია, მეცნიერულს ბაას მაინც გავიძობთ და, ვინ იცის, იქნება ამისთანა ბაასმა კიდევ უფრო აღნიშნოს სიმართლე ჩვენი სინტეტურის მოსაზრებისა, ან არა და უყეთესი სინტეზი გამოიწვიოს. ასეთი განზრახვა აქვს საჩუღლად დადებული ყველა ჩვენს ისტორიულს მონაოგრაფიებს, რომელნიც „აკალში“ დაიბეჭდენ და ასეთივე ექნება აწინდელს ჩვენს ისტორიულს გამოკლევასაც.

საქართველოს მათიანეში განსაკუთრებითი ყურადღება აქვთ ჩვენს ახალ მკვლევარებს მიტყული მხოლოდ რამდენსამე ხანაზე, რომლის ბრწყინვალება

ძალა-უნებურათ იტყვის მათ ყურადღებას. ისინი იკვლევენ ამ ბრწყინვალე დროს ჩვენი ისტორიულის ცხოვრებისას, მაგრამ სადა აქვს სათავე ამ ისტორიულს ნაყოფს, — ეს ძალიან ბუნდათ და მქრალად არის მოთხრობილი. ხოლო ნაყოფის სისრულეს და გმოიენებას მხოლოდ მაშინ გაიგებს კაცი, როცა ზედმიწევნით გამოკლევული აქვს მისი ნერვის ეთარება, მისი ფესების ცხოველ-ყოფელი ძალა, ნაყოფი ნიდაგის თვისება, რომელსაც უსაზრდაობია ეს ნერვი. თუ მესტორის ის წინამორბედი დროები კარგად არა აქვს შესწავლილი, რომელთაც მოავლინეს ბრწყინვალე ისტორიული დრო-და-ქამი, მაშინ მისს გამოკლევას საფუძველი აკლია, არ არის სრული და შეუცდომელი.

ბევრია ჩვენს მათიანეში ისეთი ხანები, ისეთი ისტორიული პირები, რომელთაც ახალი მკვლევარი ჯერ არ ვმხვდება და ვერც გულსხმას-ჰყოფს მის მნიშვნელობას. ერთი ამ ხანათაგანი ქართლის ცხოვრებისა არის წმინდის არჩილ-მეფის დრო, ანუ შედეგი დროება არაბთა პირველ შემოსევისა, შედეგი მურვან-ყრუს დარბევისა. ეს ის დროა, როცა საბერძნეთში ხატების მებრძოლთა იმპერატორთა განდევნეს მხატვრობითი, ქანდაკობითი და ხუროთ-მოდლებითი ხელოვნება, როდესაც წარჩინებულთა ხელოსანთა გუნდმა მოაჩიდა თავი დევნულებას, შემოეფარა საქართველოში და აქ აღაყავა ხუროთ-მოდლები, მხატვრობა და ქანდაკი უძველეს დროის მოტივებისამებრ; მაგრამ მაგიერთ ეს ის დრო იყო, როცა არაბთა შემოსევამ ეხტან-გორაკსლანის ღვაწლი საქართველოს ტომთა შეერთებისა და პოლიტიკურის გაძლიერებისა დასცა და რამდენიმე საუკუნე უკან დასწია, როდესაც საქართველოს ტომნი ისევ მიიქცენ ცალ-ცალკე, თვის-თვისად ხეობებში და დაიწყეს ისევ განკერძოებულად ცხოვრება. ყოველმა ერმა იწყო განკერძოებული მოქმედება, ყოველი ხევის ბერი, ანუ მთავარი განკერძოებულად მფარელობდა, ხელს უშართავდ გამოკცულს ხელოსნებს და იმათგან შემოტანილს ბიზანტიადან საეკლესიო ხელოვნებას და ხუროთ-მოდლებას. ამ დროდანვე იწყეს საქართველოს კერძო ტომებმა გონებითი განვითარება და იყენ წინააღმდეგნი საერთო სახელმწიფო უფლებების გაძლიერებისა.



ეს იყო დაახლოებით მეშვიდე საუკუნის გასული და მერვე საუკუნის დასაწყისი, როცა არაბთა მფლობელობამ ძალიან გაიღვა ძირი სპარსეთ-სომხეთში და მთელს დასავლეთს აზიაში, როცა მურვან-ყარუს მივინ-

ვარე შემოსევამ გაატეხა პოლიტიკური ერთ-ხელმწიფობა საქართველოში და არაბებმა ჩაიგდეს ხელში ტუილისის ქალაქი, დაადგინეს აქ საკუთარი ემირი, რომელიც უღარაჯებდა საქართველოს ერს, მორჩი-

წმინდა მკჷვე არჩილ.



ლებდა ხორასნის მმართველს, ანუ ხალიფს, და იღებდა ხარჯს საქართველოს - მთავრებისაგან. ამიერიდან არაბეთის მზრძანებელი ნიადაგ თვალყურს ადევნებდა საქართველოს და დროგამოშვებით შემოესეოდა ხოლმე ურიცხვი ჯარით, რომ საქართველოს დატლებული ტომებო ისევე არ შვერთებულებიყვენ, არ გაძლიერებულიყვენ. ასეთმა მოქმედებამ არაბებისამ საქართველოში დაამკვიდრა უძლური, წერილობანი პარტიკულარისტობა, განკრძოვნება და მოსპოვება შორის სარწმუნოებრივი და ტომობითი კავშირი. „შემდგომად ორმოცდაათის წლის გარდასვლისა, თუმცა იყო მშვიდობა, გარანა არა მოგებულ იყო კვალსავე თვისსა ესე ქვეყანა“. — ეკითხულობთ ვახუშტის ის-

ტორიაში და „ქართლის ცხოვრებაში“. წარმოიდგინეთ, რაც ცეცხლის კალო უნდა გაღწეულიყო საქართველოში გამძვინვებელი მოსლემიტებისაგან, თუ ორმოცდა ათმა წელმა მშვიდობიანობისამაც ევლარ გამოაბრუნა ეს ქვეყანა.

აი, ამ უბედურს დროს მოველინა საქართველოს საკვირველი ბრძენი, ჭეშმარიტი ქრისტიანი და სამშობლოსთვის თავგანწირული მეფე არჩილი, რომელმაც სიფრთხილით და შორს გამსჭვრეტელობით დასდვა საუფუძველი საქართველოს მომავალი პოლიტიკური ძლიერებისა და აღორძინებისათვის. ეს მოხდა მერვე საუკუნის დასაწყისს.

გ. წერეთელი

(შეიღვი იქნება)

ჩვენი ქვეყნის რაინდი

V



პირიდან ადგა და ამოვიდა კვალიდან. თუმცადა ამ მოულოდნელმა თავს-დასხმამ ის ძლიერ დაბნა, მაგრამ როცა ტარიელ იქვე

დაინახა, მაინც მიხედა—ალბად კიდევ უნდა დამეტაკოსო, ამიტომ სწრაფად მოივლო ხელი რევოლვერზე, რომელსაც ის მოგზაურობის დროს წალის ყელში იღებდა, მაგრამ სამგზაურო წალის ყელი მეტად მაღალი იყო და რევოლვერი ისე დაბლა დაწეულიყო შიგ,

ალბათ მაშინ, როცა ყვალში ჩაეჯახა—რომ სპირიტუალისტების ადელი აღარ იყო მისი ამოღება. როცა სპირიტუალმა ჩემის ყვალში ხელი ჩაიყო, ტარიელ მიხედა რევოლუციის იღებს, მაგრამ მისი დაუდრეკელი გული არ შეუმინდა ამ იარაღს: „რევოლუციის ცემებს მამაღლი!“ შეპყვირა მან და თითქოს ეფეხბოდა, ისე გადახტა სპირიტუალისკენ, ასე რომ სპირიტუალმა ვერც კი მოასწროა ჩემქმიდან ხელის ამოღება; ტარიელ დახატა მას წელზე და დაანარცხა მიწაზე, თვალის დახამხამებამდე ისე მივიარა, მოჰკიდა მხრებში ხელი და გაისროლა ბურთით. მან შესცვალა თავისი გადაწყვეტილება—გალახვის დროს ხელს არ ეჩხარა. ის ახლა ვაცხარებული მოქმედებდა თავისი ღონიერი ხელებით. ტარიელის აფსონები გამოცინდნენ ღუქნიდან და უყურებდნენ სერის. მხოლოდ, როცა ტარიელ მეტად გახურდა, ერთმა ყმაწვილმა დაიძახა: „მოკლავს ეს გიჟი ამ საწყალ კაცს!“ და მიაშურა ტარიელს, რომ დაეკავებოდა. ამ ყმაწვილს მიჰყევნ ორი-სამი კიდევ სხვა, მელქუნე, მელქუნის ბიჭი, ეცნენ ტარიელს და აღარ უშეგებდნენ ხელიდან. ამათ სწორად ისეთ დროს მიუსწრეს, როცა ის იყო, ვაცხარებულმა ტარიელმა სტაცა მიწაზე დაცემულს სპირიტუალს ცალ ფეხში ხელი, მეორე ფეხი თავისი ფეხით მიწაზე დაუჭირა და უპირებდა ვახლჩას. იმისი რა მოგახსენოთ, შესაძლებელია თუ არა ადამიანის ამ რიგად შუაზედ ვახლჩა, მაგრამ ტარიელს კი მოუყვია ეს აზრი და ისიც ცხადია, რამდენ ირ მოესწროთ, ორივე ფეხებს კი მაინც დაუშტერებდა. მეტადრე ტარიელ იმან გაცეცხლა, რომ სპირიტუალმა ერთხელაც არ შეეცეწა: „ნუ მომკლავ ბატონო!“; წინააღმდეგ რევოლუციით დახვედრაც კი დააბრა.

ცოცხალ-მკვდარი სპირიტუალის მოსაშვალეების წყალობით, როგორც იყო, განათვისუფლდა ტარიელის ხელიდან. ის ერთიანად ტალახში იყო ამოსერილი, ტანისამოსიც სულ შემოგლეჯილი ჰქონდა ტანზე. ახლა თუმცაღა ამოიღო წალის ყვლიდან რევოლუციის, მაგრამ რაღას უშეგლიდა! ტარიელ დაჭერილი მიჰყავდა მოსაშვალეებს. შურისძიება კიდევ რომ სდამოდა სპირიტუალს, შესაძლებელი არ იყო, რადგანაც ტარიელთან აღარაივან მიუშეგებდა და ისე, შორიდან რომ ესროლა რევოლუციის, ტარიელს მანაც ვერ მიატანდა ტყვია, ეინმე ალაღმართალ ადამიანს მოხედებოდა. სპირიტუალმა ხელახლავ ჩაიღო წალის ყვალში რევოლუციის და წაიგდა თავისთვის.

იმ დროს, როცა ტარიელმა დაუძახა სპირიტუალს „თქვენთან სიტყვა მაქვს“, დესპინე ოთახის კარებთან იღვა და ამიტომ ყოველივე იმ თავი-

თვე დინახა, რაც მოხდა სპირიტუალს და ტარიელს შორის. მას შინის ყრუანტელმა დაუბრინა ტანში, როცა ტარიელ მის ქართან მიეცა და ლაპარაკი დაუწყო. ინტინკტი მიხედა, რომ კარგს არის მოასწავებდა ეს ლაპარაკი, ვერ მოასწრო იმის მოსაშვარება თუ რა უნდა ექნა, როგორ მიშველებოდა ქმარს, რომ ტარიელმა კიდევ ჩააჯეხა სპირიტუალს. ამ სცენის დანახვამ კინაღამ გული არ წაუვიდა დესპინეს. ის დარტყანებული გამოვარდა გარედ და გაიქცა სპირიტუალისკენ. თუ რით მიგშველებოდა ქმარს, რით შეებრძოლებოდა გამძინავრებულ ტარიელს, იმის მოფუჭების დრო საღადა იყო! მას მხოლოდ ელე საერო გაუჩინა ფიქრში, რომ თავი შეაკლას მისი ქარის მოჩხუბარს. ის იყო, დესპინემ მიუწია კიდევ იმ ადგილს, სადაც მის ქმარს თავს დაესხა ტარიელ, რომ ერთმა ყმაწვილმა კაცმა ტარიელის აფსონთაგანმა, სტაცა მას ხელი შემდეგი სიტყვებით: „სად მირბით! რა თქვენისთანა ანგელოზის საქმეა ჩხუბი!“ დესპინემ დაიწყო ბრძოლა თავის განათვისუფლებისათვის მაგრამ ამოდ: ყმაწვილი კაცი ბევრად ღონიერი იყო ნახ ქალზე. „აკი გეუბნებით, თქვენისთანა ანგელოზს არ შეფერის ჩხუბი მეთქი“, ეუბნებოდა ის დესპინეს და თან მაგრა უჭერდა მკლავებს, ეითომ და როგორც მოსაშვალე, მაგრამ ნამდვილად კი მოსაშვალის მოვალეობაზე უფრო ლამაზა დესპინეს ხელში დაჭერის სურვილი ამოქმედებდა ყმაწვილ კაცს. სხვაფერი რომ ეყრას გახდა, დესპინემ ჩააღო მას მკლავში ტიბილი და ისე მძლეობდა მოუჭირა, რომ ყმაწვილი კაცი იძულებული იყო ქალი ხელიდან გაეშვა. მაგრამ დესპინეს თავის გაათვისუფლებამდე მოსაშვალეებმა, ის იყო კიდევ მოაშვარეს ტარიელ სპირიტუალს. რაღა უნდა ექნა! ცოცხლად მოკლული ამ შემთხვევით, ის გაჰყვა თავის ქმარს უკან, ისე თითქოს მკვდარი მერე მკვდარს ასდევნიებოდა.

ხალხი დიდხანს ეჭირებდა ამ შემთხვევის გამო. ეინ სპირიტუალს დედბა ბრალს—„წუხელ თურმე სულ რუსულა ავირა ტარიელს და ამა ტარიელ როგორ შეარჩინდა გინებას“. ეინ იმას ამბობდა—„ტარიელ იმან გააცეცხლა, რომ თურმე დუღელში გამოიწვია სპირიტუალმა“. ზოგი კიდევ უფრო შორს წასულიყო ტარიელში: „თურმე იმ უჩიტისის ცოლს შეგირებული ჰყოლია ტარიელ, რომ დაღამდეს მოდიო. ტარიელ, რასაკვირებელია, მისულა. ეს ქალის ქმარს გაუგია და სულ იმაზე მომხდარა ეს ამბავი. ეინ მოსთვის კიდევ რაეტი არ მოაჭირეს. ბერის კიდევ ის მოსწონდა, რომ ტარიელმა როცა გალახა სპირიტუალს, დაუძახა—„ქართული დუღელი ეს არის, მე ასე ეიცო დუღელი“. მხოლოდ ორი-სამივენი კი ჰქუ-

ხედენ წარბეცს ტარიელის საქციელზე და ამბობენ ეს ვეჯცობა კი არა, მხეცობა არისო.

ამასობაში მოაწია მატარებელმა. სპირიდონ ცხადად ხედავდა, რომ მოეცადა და დაქმავიფილებმა მოეთხოვა ტარიელისგან უმართლოდ შეურაცხავის მიყენებისთვის, უფრო სასაცილოდ გაიხდიდა თავს, მეტს კი ვერას ვახდებოდა. ის და მ-სი მეთუღელ შევიდნენ ეავგონში, რომ რაც შეიძლება, აღეგ მოშორებოდნენ მათთვის უსიამოვნო ადგილს. როცა მატარებელი დამიძა, ტარიელმა მიიახხა სპირიდონს: „უმაწილო, კმაწილო! დუელი დაგაიწყდა“. სპირიდონმა გარკვევით გაიგონა ეს სიტყვები, რომლებშიაც მწარე დაკონე იყო გამოხატული, მაგრამ მხოლოდ ერთი ზანტად გადმოხედა ტარიელს, — ხმა არ გაუცია.

წაიდა თუ არა მატარებელი, ტარიელ და მისი აფონანები შევიდნენ ლუქანში და შეუდგნენ ქვეს. ტარიელ ისე მხიარულად სვამდა და ქეიფუბდა, თითქო იმ დღეს ჰიანჭველანხედაც კი არ დაედგას ფეხიო. მართალია წინა ღამეს ვერ ასრულა ტარიელმა თავისი წადილი, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ უნდა მისულიყო სპირიდონთან სტუმრად, ან დაეთრა სპირიდონ, ან სასერაოდ წაეტუებინა, ჩხუბი აეტენა და დესპინე გაეტაცებია დილაზე, მაგრამ წადილის აუსრულებლობის გამო ნაღები გული სპირიდონის გლახებით მოიფხანა და მით გაათავა იმაზე დარდი.

VI

იმ სადგურთან მოწყებულნი, სადაც ისეთი თავზარ დამტყემი უსიამოვნობა შეხედათ, სპირიდონმა და მისმა მეთუღელმა ისე გაიარეს მატარებლით რამდენიმე სხვა სადგური, რომ კრიტიკი არ დაუძრავთ. ეგდენ ეავგონში სკამებზე მდუმარედ, ნაღვილიან ფაქრებში გართულნი. უქანასქნელ, როცა მატარებელი მიადგა ერთ დიდ სადგურს, სადაც დიდხანს რჩებოდა და „პასაჟირებს“ შეეძლოთ აუჩქარებლივ ეჭამათ საჭმელი სადგურის ბუფეტში, სპირიდონმა აიღო თავი და უთხრა თავის მეთუღელს:

— არ მოგშივდა? ეჭამოთ რამე, აქ კარგი ბუფეტია.

— არ მინდა, უბასუხა დალონებულად დესპინემ.

— ან ჩიი დაელიოთ, ან ეჭამოთ რამე, თორემ! ხომ იცო, კარგი მანძილი გზა გეაქვს ჩვენ სასაღამოდ გასაღელი.

— რა ექნა, რომ არ მირდა! შენ, შენ გზია? მაინც-ღა-მაინც არც მე მზია. მაგრამ შენ რომ

წამოსულიყვი, მაშინ კი ცოტა რამეს მეც ეჭამი. უბასუხა სპირიდონმა, რომელსაც სრულიადაც არ ქონდა საჭმლის მად, მაგრამ უნდოდა, როგორმე დესპინე გამოეყენა ნაღვილიანი მწარე ფაქრებისაგან და მისთვის მოეგონა ბუფეტში საჭმელის ქვა.

— მხეცმა აღამიანმა ჩხუბი აგეიტენა, უსიამოვნება მოგეაყენა, მაგრამ, როგორც იყო გადაეჩრით. ახლა ვანა იმის ჯავრით თავი უნდა დავიხავროთ, გული უნდა გავიტენხოთ?

— თუ კი არ გავგეტენს გულს? იმ გვირი შემთხევი, ძალად რატომ უნდა გავიტენხოთ? მაგრამ თუ გავგეტენა, რას იხამ, შენსავე გულს ხომ ვერსად გავეტყევი? ნაღვილიანად, მაგრამ ტკბილად უბასუხა დესპინემ ქმარს.

სპირიდონ გაჩუმდა. „როგორ შევიძლიან სხვა გაამხიარულო, როცა თითონ შენ ვარამი გიტრიალებს გულში! როგორ შევიძლიან სხვა დაითანხმონ იმ თეორიასზე, რომლის წინააღმდეგ შენვე გძრობა გებრძვის.“ ეუბნებოდა ის თავის თავს.

სპირიდონს შინ მივიდნენ თუმცაღა — სპირიდონს და დესპინეს არ გაუმხელიათ, რაც შეემთხვათ, მაგრამ სპირიდონის დედამ ამათ სახეზე კი ცხადად წააკითხა — რაღაც დიდი მძიმე ამბავი გადახედიათ თავსაო.

— შეილო, ცეტრის სახე გავეთ ორივეს. ავი ხომ არაფელი მომხდარა ჩვენ თავზე? ჰკითხა დედამ სპირიდონს.

— არაფელი, დედე, გზაში დავიღალეთ და იმიტომ, უბასუხა სპირიდონმა.

„იქნება ცოლ-ქმარზორის არის რამე უქმაცოფილებო“ იფიქრა სპირიდონის დედამ და მიპყრო ყურადღება — იქნება რამ შეენიშნაო. მაგრამ ჩქარა დარწმუნდა, რომ მის შვილს და რძალს ისევე-ისე უყვართ ერთმანეთი, როგორც უყვართ, თითქმის ახლა კიდევ მეტი სიყვარული ერთმანეთისადმი ჩანდა მათ საქციელში და ღლაპარაკში. სპირიდონის დედისთვის სამუდამო საიდუმლოდ დარჩა, თუ რა ნაღვილი აწვათ ამ დროს მის შვილს და რძალს.

იმ საღამოზე სპირიდონს ძლიერ მძლავრად გავაცევა. შემდეგ სიცხე მისცა და მთელი ღამის განმავლობაში შფოთავდა. არც სპირიდონის დედას და არც დესპინეს მთელი ღამის განმავლობაში არ დუქმანია. საწყალი დედა შაშით გულ-გახეთქილი დასტრიალებდა შვილს თავზე და ჩიფჩიფებდა რაღაც ლოცვას. დესპინე კი წინაღობით უძინარი მოქანტული იჯდა სასთუმალთან და ქმარს ხმარ-ხმირად ეუბნებოდა: „რა ქენი სპირიდონ? აბა, შემომხედე შენს დესპინეს.“ მაგრამ სპირიდონს ახლა ეკვი აღარ ეყურებოდა: სიციხისაგან აღმუქმადებული ბუდედა თავისთვის მას, რაც წინაღობით და იმ დღეს გადა-

ხედავდა. განთიადისას დესპინემ სთხოვა ერთ მეზობელს და მოაკყვინა ფერშალი. ფერშალმა რაღაც სიტყვის წამტებით მისცა სპირიტოსს. ეინ იცის, ამ წამლებმა უშეუღეს, თუ თავისთავად მოიკეთა, შუადღეს შემდეგ სპირიტოსმა გამოახილა თვალები, მიჰაქცია ყურადღება, რომ დესპინე ორი ღამის უძინარი იყო და ღერხა „მოოსტენე“ო.—„შენც, დედა, უთხრა სპირიტოსმა დედას—გაწყენს ღამისთევა, რაზე დაიხაკეთ თავი ღამის თევი!“ სპირიტოსის მოკეთებამ ისე გაამხიარულა მისი დედა და ცოლი, რომ გვეგონებოდათ—თავის დღეში ამათ უსიამოვნება არა შეხებდრით რაო.

დღამდა. რადგანც სპირიტოსს მოკეთებულობა ეტყობოდა, სპირიტოსის დედა და დესპინე ადრე დაწყენ დასაძინებლად და ადრეც ჩუქინათ. სპირიტოსმა ღამა გააქრო და ცოტა მიიძინა. როცა გამოეღვიძა, იგრძნო, რომ ერთიანად ოფლით იყო დასველებული. ის ახლა იწვა თვალზე გაშტერებული და ყურები საშინლად უწიოდა. სახლში სიბნელე და მყუდროება დამყარებულიყო. ახლა რომ ავადყოფობაში დამიგროს, რაღა მავნი!“. სუსტად და გაურკვეველად გვეგონება სპირიტოსს ფიქრებში. „რა შესაბალო მდგომარეობაში...“ გამოიკრვა კიდევ ავადყოფი სპირიტოსის დასუსტებულ ფიქრებში და რაღაც კიდევ უნდა მოჰყოლოდა ამ აზრს, რომ იქ, სადაც დესპინეს ეძინა, გაისმა საშინელი ცივი ხმით კივილი. სპირიტოსმა დაფიქრა ავადყოფობა და ფიქრიც. ის წამოვარდა ზეზე და მიაშურა დესპინეს ლოგინს. მას შერხა პირში მხოლოდ ეს სიტყვები: „რა დაგემართა!... რა დაგემართა!...“ გამოვარდა მეორე ოთახიდან სპირიტოსის დედაც, რომელმაც მოუკიდა „სპიჩკას“ და შემდეგ აანთო სანთელი. დესპინე ფერწასული იჯდა ლოგინზე და მთელი სხეულით ცახცახებდა.

— რა ცყო, რა ავაერთა? ერთ ხმად ჰკითხეს დედამთილმა და ქმარმა.

— უზარმაზარი შავი დათვი მეცა და გადამათრია ბნელ სორაში!—ძლივს წარმოთქვა ხმის კანკალით დესპინემ.

— რაუყოთ მერე, სიზმარია. სიზმარის აბა, როგორ უნდა შეგვეშინოს ასე? ტუბილად უთხრა სპირიტოსმა, მოუჯდა გვერდით და მიიწინა გულზე.

ათონის ცოტა უკლდა, რომ ძლივს დამშვიდდა დესპინე. სპირიტოსი და დედამისი ხელახლოვ დაწყენ. ღამა კი დესპინემ არ გააქრობინა.

მეორე დღეს სპირიტოსის ავადყოფობამ ხელახლოვ იბრუნა პირი. მიხეზი ის იყო, რომ წინ ღამით, დესპინეს კივილზე სპირიტოსი გაოფლიანებული

პერანგის ამაო ადგა და ამისგანო გაცოცდა. ეს გაცოცება სპირიტოსის ბოლოს სწებად გადაქცა და მთელი ორი თვე დააწინა ლოგინში. ორ თვის შემდეგ, როგორც იყო, მოიკეთა. მაგრამ ხედავდა კი, რომ მისი ჯანზე მოსვლა საეჭვოდ იყო.

მაგრამ თავის დასწულეზებზე ისე არ სწუხდა სპირიტოსი, როგორც მისი მეუღლის საშინელ მდგომარეობაზე: დესპინეს ყოველ ღამით ესწმებოდა უზარმაზარი შავი დათვი, რომელიც მითარედა მას ბნელს სორაში. საბრალო ქალი ამ სიზმრის შიშით ღამით ღამისა ვეღარ აქრობდა, შუალამედ თვალ გაშტერებული იწვა. შემდეგ მოჰპარდა ძილი თვალზე, ამოუშვებდა ნელ სუნთქვას, როგორც შეფერის ტუბილად მიძინას, მაგრამ არ გივილიდა ერთი საათი, რომ იკვილებდა და წამოვარდებოდა ლოგინიდან ფერდაკარგული, შიშით აცხცახებული. ბოლოს და ბოლოს ცივაც დაუწყო დესპინეს ღამ-ღამობით. დაწოლის დროს იგრძნობდა ცივებას, შემდეგ მისცემდა სიტყვს, როცა სიტყვ დაურეღებოდა და დეკინებოდა, ნახვცა თავის დათვს. უკანასკლ ისე შეიპყრო დესპინე სულით ავადყოფობამ, რომ დღით, სიხეზლოს დროსაც კი ხან ღარი, ხან ძალი და ხან სხვა ცხოველიც დათვად ეჩვენებოდა, „ეი!“ დაიკვილებდა და მივირდებოდა სპირიტოსთან. ამ ავადყოფობამ დესპინე საშინლად ჩამაჯკრა, ასე რომ ძლივს იცნობდა. უკანასკლ ხელო დაუწყო დესპინეს.

